ოქმი N12

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი **2024 წლის 28 ნოემბერი**

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 19 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით, (იჯარის ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

3. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2025-2026 წლებში დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: გ. ჩაბალუხა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 19, წინააღმდეგი – 0,

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმდომარეს ლ. ლიპარტიას წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გადიდდა შემოსულობები 1262,8 ათასი ლარით და განისაზღვრა - 28595,0 ათასი ლარით. გადასახდელები განისაზღვრა 34336,4 ათასი ლარის ოდენობით. პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით მომზადებული

დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი ცვლილებები და დამატებები: 20,6 ათასი ლარით იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები, კერძოდ: 20,6 ათასი ლარი შემოსავალი „გრანტებიდან“, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად, საფუძველი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2023 წლის 8 ნოემბრის N04-03/88019 წერილი. შემოსულობების ზრდით მიღებული 20,6 ათასი ლარი (მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად) მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: პრიორიტეტის ,,მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა“ ასიგნებებზე 20,6 ათასი ლარი, აქედან: 20,6 ათასი ლარი - პროგრამის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება“ ასიგნებაზე, მათ შორის: 15,4 ათასი ლარი - ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს სუბსიდია, 5,2 ათასი ლარი - ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,არაფინანსური აქტივები“ ასიგნება, საფუძველი: მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის 2024 წლის 13 ნოემბრის N08-502431814 მოხსენებითი ბარათი. ,,ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 4 იანვრის N№50.5024004001 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 1 აგვისტოს N№50.50242142 ბრძანების შესაბამისად, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 29 ივლისის N1060 განკარგულებით ხობის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 949,9 ათასი ლარის ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გადიდდა ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლები „გრანტებიდან“ (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) 949,9 ათასი ლარით, ასევე გადიდდა 949,9 ათასი ლარით პრიორიტეტის - ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ მუხლის „არაფინანსური აქტივები“-ს ასიგნება. ,,ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 26 აგვისტოს N№50.5024239001 ბრძანების შესაბამისად, ,,მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ივლისის #1025 განკარგულებით ხობის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 292,03 ათასი ლარის ხობის მუნიციპალიტეტის

2024 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გადიდდა ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლები „გრანტებიდან“ (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) 292,3 (ორასოთხმოცდათორმეტი ათას სამასი) ათასი ლარით და შემოსავლების ზრდის თანხების მთლიანი მოცულობა – 292,3 ათასი ლარი მიიმართა პრიორიტეტის - ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ ასიგნებაზე, კერძოდ: 138,0 ათასი ლარი - ქვეპროგრამის „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია“ ასიგნებაზე, 154,3 ათასი ლარი - ქვეპროგრამის „სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ ასიგნებაზე. ასევე ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 19, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N19 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით, (იჯარის ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მე-2 საკითხის განხილვამდე სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რადგანაც წარმოდგენილ საკითხის მიღებას სჭირდებოდა საკრებულოს წევრების 2/3, ანუ სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 24 წევრი, მიმდინარე სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა არ იყო საკმარისი საკითხის განხილვისთვის, წარმოდგენილი საკითხი გადადებულ იქნა მომდევნო სხდომისთვის.

3. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2025-2026 წლებში დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: გ. ჩაბალუხა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: გ. ჩაბალუხა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2025-2026 წლებში დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ოთხი პროექტის განხორციელება კი არ ხდებოდა, არამედ, მიმდინარე წელს საკრებულოს მიერ, მოწონებულ იქნა 30-მდე პროექტი, რომელიც ეტაპობრივად განხორციელდებოდა. მცირეოდენი განმარტების შემდგომ, მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარეს ბ. მამაცაშვილს წარმოედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ბ. მამაცაშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა წინადადებები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2025-2026 წლებისთვის განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, რაც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფისათვის უნდა წარედგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. პროექტების ინიციირება იწყება წინადადების მოწონების თაობაზე საკრებულოს გადაწყვეტილებით, რისთვისაც ამ ეტაპზე მომზადდა განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2025-2026 წლებში დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების

მოწონების შესახებ“, რომლის თანახმადაც განხორციელდება პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულში ესტატე შუშანიას, ცოტნე დადიანის და გალაქტიონ ტაბიძის ქუჩების და ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში წმინდა ნინოს ქუჩის რეაბილიტაცია. გამომსვლელის განცხადებით, კომისიამ განიხილა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი და მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 19, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N26 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2024 წლის 28 ნოემბრის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. ნუგზარი შუშანია
4. გოჩა ქაჯაია
5. მედეა თათარიშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ლევანი ლიპარტია
8. ბექა მამაცაშვილი
9. დოდო გაბუნია
10. აკაკი მალანია
11. სერგო ბერაია
12. მზია ლემონჯარია
13. ბადრი რიჟამაძე
14. კობა გერგაია
15. აკაკი ხურცილავა
16. ბექა ხარბედია
17. მაკა ჩარტია
18. გივი ლატარია
19. ფრიდონ კუკავა